საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჯამა

მაჯამა (არაბ. – კრებული) 1. სპარსულ პოეტიკაში სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ტერმინი. უპირველესად აღნიშნავს რამდენიმე ან ერთი პოეტის ლექსთა კრებულს. ამას გარდა, მ-ს უწოდებენ ისეთ ლექსს, რ-შიც თავმოყრილია სხვადასხვა პოეტური ხერხი, ჩამოთვლილია საგნები თუ ტერმინები. იგი აერთიანებს ერთგვაროვანი ხერხებითა თუ თემატიკით დაკავშირებულ ლექსებსაც. ქართ. პოეზიაში მ., როგორც ლიტ. ხერხი, გვხვდება ჯერ კიდევ კლასიკურ ქართ. პოეზიაში (ჩახრუხაძე, შავთელი, რუსთაველი), შემდეგ იგი განავითარა სპარს. პოეზიის შესანიშნავმა მცოდნემ, თეიმურაზ I-მა. მისი მ. საგანგებოდ შერჩეულ ლექსთა კრებულია („ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული,/მომინდა წერა ამისთვის, არ იქმნას დავიწყებული“), რ-თა სტროფების დიდი ნაწილი ომონიმური რითმებით არის გაწყობილი. მათი ამოხსნა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ ჟანრის ლექსებს წერდნენ თუ კრებულებს ადგენდნენ არჩილი, ვახტანგ VI, ს.-ს. ორბელიანი. 2. ომონიმური რითმა, ბგერითი შედგენილობით ერთნაირი და შინაარსით განსხვავებული სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფების გარითმვა.

ლიტ.: ა რ ა ბ უ ლ ი გ., ომონიმური რითმა ძველ ქართულ პოეზიაში, „ლიტერატურული ძიებანი“, 2000, ტ. 21; ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., თეიმურაზ პირველი, წგ.: თეიმურაზ I, თხზ. სრ. კრ., ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედ., ტფ., 1934; დ ო ი ა შ ვ ი ლ ი თ., ქართული ლექსი XVII საუკუნეში (თეიმურაზ I, არჩილი), „ლიტერატურული ძიებანი“, 2002, ტ. 23; კ ო ბ ი ძ ე დ., ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან, წგ.: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 2, თბ., 1969; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, თბ., 1966.

ა. გვახარია